არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "ქართული ერთობის დარბაზის" (ს/ნ 402007010) რიგგარეშე საერთო კრების ო ქ მ ი №2024/1-01

ქ. თბილისი 08 იანვარი 2024წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "ქართული ერთობის დარბაზის" (შემდგომ ტექსტში – "ქედი") წევრთა რიგგარეშე საერთო კრება ჩატარდა მისამართზე: ქ. თბილისი, ჩაჩავას ქ. №1.

<u>კრებას ესწრებოდა "ქედის" წევრთა 1/10-ზე მეტი, მათ შორის, გამგეობის წევრები:</u> რამაზ ყურაშვილი (პ/ნ 01008000687) და რომან რურუა (პ/ნ 01008003371). ამდენად, კრება გადაწყვეტილებაუნარიანია.

<u>კრების თავმჯდომარე:</u> რამაზ ყურაშვილი (პ/ნ 01008000687).
<u>კრების მდივანი:</u> ირაკლი მაჭავარიანი (პ/ნ 01009004129).

<u>დღის წესრიგი:</u>

1. ცვლილებები ა(ა)იპ "ქართული ერთობის დარბაზის" წესდებაში.
2. ა(ა)იპ "ქართული ერთობის დარბაზის" იურიდიული მისამართის ცვლილება.
3. ა(ა)იპ "ქართული ერთობის დარბაზის" გამგეობის წევრთა არჩევა.

<u>მოისმინეს:</u>

კრების თავმჯდომარის, "ქედის" ვიცე-პრეზიდენტის რამაზ ყურაშვილის შესავალი სიტყვა, რომელშიც მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბოლო წლებში "ქედის" აქტივობა საკმაოდ შესუსტებული იყო, რამაც გამოიწვია მრავალი გადაუჭრელი პრობლემის დაგროვება ორგანიზაციის საქმიანობაში. კერძოდ, უკვე მრავალი წელია ჩვენს შორის აღარაა ჩვენი პრეზიდენტი, ბატონი რევაზ ჩხეიძე, ახალი პრეზიდენტი კი არ აგვირჩევია. შეთხელებულია გამგეობის შემადგენლობაც, თავდაპირველად არჩეული შვიდი წევრიდან მხოლოდ ორია დარჩენილი. "ქედის" დაარსების დღიდან, ანუ უკვე ცხრა წელზე მეტია, არ ჩატარებულა საერთო კრება. ამასთანავე, განვლილ წლებში თავი იჩინა აგრეთვე მოქმედ წესდებაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის აუცილებლობამ, რაც ასევე არ განხორციელებულა.

ყოველივე ზემოთქმულის გამო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ჩათვალა, რომ "ქედის" რეგისტრირებული მონაცემები აღარ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და თავისი 2023 წლის 17 აგვისტოს №B23117660/3 და 21 აგვისტოს №B23118973/3 გადაწყვეტილებებით დაუდგინა "ქედს" ხარვეზი და მოგვანიჭა ხარვეზიანი საზოგადოების სტატუსი. ამგვარი სტატუსი არ გვაძლევს თვით ისეთი ელემენტარული მოქმედებების შესრულების უფლებას, როგორიცაა ამონაწერის აღება სამეწარმეო რეესტრიდან, გვიბლოკავს საბანკო ანგარიშებს და ა.შ., ანუ პრაქტიკულად გვისპობს ყოველგვარი ოპერირების საშუალებას.

სწორედ ზემოჩამოთვლილი გარემოებებითაა განპირობებული მიმდინარე საერთო კრების მოწვევის აუცილებლობა აღნიშნული დღის წესრიგით.

1. <u>მოისმინეს:</u>

კრების თავმჯდომარის განცხადება იმის თაობაზე, რომ "ქედის" გამგეობამ სთხოვა ქედის მეგობარს, "ქედის" მიერ დაფუძნებული საწარმოს სს "ქართულის" დირექტორს, ბატონ ირაკლი მაჭავარიანს იურისტების ჯგუფთან ერთად მოემზადებინა წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელსაც ის წარმოუდგენს კრებას.

ი. მაჭავარიანის წინადადება "ქედის" წესდებაში შესატანი ცვლილებების თაობაზე. გამომსვლელმა მოახსენა კრებას, რომ "ქედის" მოქმედი წესდება, მასთან ერთად მომუშავე იურისტების აზრით, მრავალი ნაკლოვანებით ხასიათდება. კერძოდ, იგი შეიცავს არაერთ არაზუსტ თუ უხერხულ ტერმინს და ფორმულირებას როგორც შინაარსის, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით; მას აკლია ზოგიერთი დებულება, რომლებიც აუცილებელია ამ ტიპის ორგანიზაციის წესდებისთვის; არსებული მუხლებისა და პუნქტების განლაგება ყოველთვის არ შეესაბამება დოკუმენტის ლოგიკას.

ჯგუფი შეეცადა იმგვარად გამოესწორებინა აღნიშნული ნაკლოვანებები, რომ მინიმალური ცვლილებები შეეტანა არსებულ ტექსტში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ი. მაჭავარიანმა შესთავაზა კრებას შემდეგი ცვლილებების შეტანა წესდებაში (იხ. დანართი №1):

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

პ. მონიავამ, რ. ყურაშვილმა, ა. ჩხაიძემ, რომლებმაც ძირითადად მოიწონეს წარმოდგენილი წინადადება.

<u>დაადგინეს:</u>

"ქედის" მოქმედ წესდებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს წესდების ახალი რედაქცია.

2. <u>მოისმინეს:</u>

კრების თავმჯდომარის განცხადება იმის თაობაზე, რომ გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო წარმოიშვა "ქედის" იურიდიული მისამართის შეცვლის აუცილებლობა.

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

ი. მაჭავარიანმა, რომელმაც შესთავაზა კრებას მისი ოჯახის კუთვნილი ერთ-ერთი ბინა გამოეყენებინათ "ქედის" იურიდიულ მისამართად. კრების მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ი. მაჭავარიანის წინადადებას და მადლიერება გამოხატეს მის მიმართ "ქედის" მხარდაჭერისთვის.

<u>დაადგინეს:</u>

"ქედის" იურიდიულ მისამართად განისაზღვროს: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, VI კვარტალი, კორპუსი Iბ, ბინა №13.

3. <u>მოისმინეს:</u>

კრების თავმჯდომარის წინადადება გამგეობაში ასარჩევ წევრთა თაობაზე. მან კრებას შესთავაზა, რომ გამგეობის ორი მოქმედი წევრი, რომან რურუა და თვით რამაზ ყურაშვილი დატოვებულ იქნენ მის შემადგენლობაში და დაემატოს კიდევ 12 (თორმეტი) ახალი წევრი. მან წარმოადგინა გამგეობის წევრთა შემდეგი კანდიდატურები: ჯ. კოპალიანი, ა. კასრაძე, პ. მონიავა, თ. შაშიაშვილი, ა. აფციაური, ა. ჩხაიძე, ზ. ქუმსიაშვილი, თ. მაჩაიძე, ა. ძაძამია, შ. დარჩია, ქ. ენუქიძე, ი. მაჭავარიანი.

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

ა. კასრაძემ, თ. შაშიაშვილმა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს თავმჯდომარის წინადადებას.

<u>დაადგინეს:</u>

"ქედის" გამგეობის წევრებად დატოვებულ იქნენ რ. ყურაშვილი და რ. რურუა, დამატებით არჩეულ იქნენ შემდეგი პირები:

1. ჯუმბერ კოპალიანი, პ/ნ 01017015598, დაბ. 11.11.1939წ. ცაგერის რ-ნის სოფ. ქულბაქში, მცხ. ქ. დმანისი, სიონის ქ. №8;
2. ალექსანდრე კასრაძე, პ/ნ 01022001647, დაბ. 16.04.1969წ. თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ხვიჩიას ქ. №5, ბინა №1;
3. პოლიკარპე მონიავა, პ/ნ 35001043960, დაბ. 30.07.1956წ. მარტვილის რ-ნის სოფ. ქვედა ხუნწში, მცხ. ქ. თბილისი, ვ. დოლიძის ქ. №16ა, ბინა №17;
4. თეიმურაზ შაშიაშვილი, პ/ნ 60001005841, დაბ. 01.04.1951წ. ქუთაისში, მცხ. ქ. ქუთაისი, კ. გამსახურდიას V შეს. №1;
5. ამირან აფციაური, პ/ნ 60001006066, დაბ. 28.06.1954წ. თეთრი წყაროს რ-ნის დაბა მანგლისში, მცხ. ქ. ქუთაისი, თავისუფლების ქ. №12;
6. ავთანდილ ჩხაიძე, პ/ნ 01009001409, დაბ. 14.02.1953წ. მახარაძის რ-ნის სოფ. ბახვში, მცხ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბახვი;
7. ზურაბ ქუმსიაშვილი, პ/ნ 01020002767, დაბ. 06.01.1970წ. თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ა. სუმბათაშვილ-იუჟინის ქ. №44;
8. თამარ მაჩაიძე, პ/ნ 01024037221, დაბ. 16.04.1985წ. თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №26, III კორპუსი, ბინა №17;
9. ანა ძაძამია, პ/ნ 39001040385, დაბ. 11.11.1997წ. სენაკის რ-ნის სოფ. ლეძაძამეში, მცხ. ქ. თბილისი, გლდანის I მ/რ, ა. ბოჭორიშვილის ქ. №3, ბინა №11;
10. შორენა დარჩია, პ/ნ65500200391 9, დაბ. 11.11.1963წ. ლანჩხუთში, მცხ. ქ.თბილისი, დ/დიღომი, მირიან მეფის ქ. №5, ბინა №11;
11. ქეთევან ენუქიძე, პ/ნ 01011063123, დაბ. 02.11.1971წ. თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №1, ბინა №69;
12. ირაკლი მაჭავარიანი, პ/ნ 01009004129, დაბ. 24.12.1954წ. თბილისში, მცხ. ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, VI კვარტალი, კორპუსი Iბ, ბინა №32.

კრების თავმჯდომარე რამაზ ყურაშვილი

რამაზ ყურაშვილი
(პ/ნ 01008000687)

კრების მდივანი ირაკლი მაჭავარიანი

ირაკლი მაჭავარიანი
(პ/ნ 01009004129)

გავეცანი, ვეთანხმები.
გამგეობის წევრი ჯუმბერ კოპალიანი

ჯუმბერ კოპალიანი
(პ/ნ 01017015598)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
ფურცელი №613
თარიღი "09" აპრილი 2024 წ.
გვ.რაოდენობა 8 ხელმოწერა

ცვლილებები
ა(ა)იპ "ქართული ერთობის დარბაზის" წესდებაში
(გამგეობის წინადადებები 2024 წლის 08 იანვარს დანიშნული
ა(ა)იპ "ქართული ერთობის დარბაზის" წევრთა რიგგარეშე საერთო კრების
დღის წესრიგის პირველი საკითხისათვის)

I. ა(ა)იპ "ქართული ერთობის დარბაზის" მოქმედი წესდების **პირველ მუხლში** შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

პუნქტ1.1.-**ში** სიტყვები "ასოციაცია "ქედი"" შეიცვალოს სიტყვებით *""ასოციაცია ქედი" ან "ასოციაცია"",* ხოლო სიტყვების "არის" და "არასამეწარმეო" შორის ჩაემატოს სიტყვები:*"საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილი".*

პუნქტ 1.2.-ში პირველი წინადადების ბოლოს სიტყვები "კავშირი(ასოციაცია)" შეიცვალოს სიტყვებით *"წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი."*; მეორე წინადადება მთლიანად ამოღებულ იქნეს და გადატანილ იქნეს **მე-3 მუხლში,** როგორც ***პუნქტი 3.1.***

პუნქტ 1.4.-ში სიტყვები "ჩაჩავას 1" შეიცვალოს სიტყვებით *"ვაჟა-ფშაველას გამზირი, VI კვარტალი, კორპუსი Iბ, ბინა №13.".*

II. ა(ა)იპ "ქართული ერთობის დარბაზის" მოქმედი წესდების **მე-2 მუხლში** შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

პუნქტ 2.3.3.-ის არსებული რედაქცია შეიცვალოს შემდეგი ტექსტით: ***"განა ის, რომ საერთაშორისო მასშტაბით დღემდე არ განმტკიცებულა ჩვენი ქვეყნის კულტურული სახე (იმიჯი), ის, რომ ანტიკური კოლხეთისა და ბრწყინვალე ივერიის მემკვიდრე საქართველოზე დღეს სხვადასხვა შორეულ თუ არც ისე შორეულ ქვეყანაში ათასგვარი მცდარი წარმოდგენაა გავრცელებული, ვინაიდან ვერ შევძელით ქვეყნიერებისათვის სრულყოფილად გაგვეცნო ჩვენი უძველესი კულტურის მთელი სიღრმე და სიფართე, რაც არაერთმა ერმა თუ სახელმწიფომ მოახერხა - ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?".***

პუნქტ 2.13.-ში ამოღებულ იქნეს სიტყვები „სამი წლის განმავლობაში".

III. ა(ა)იპ "ქართული ერთობის დარბაზის" მოქმედი წესდების **მე-3 მუხლში** შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

არსებული **სათაური** შეიცვალოს შემდეგით: ***"ასოციაციის დაფუძნება; დამფუძნებლები".***

არსებული **პუნქტ 3.1.-ის** წინ ჩაემატოს **პირველი მუხლის პუნქტ 1.2.-იდან** გადმოტანილი მისი ყოფილი მეორე წინადადება, როგორც ***პუნქტი 3.1.***

არსებული **პუნქტი 3.1.** გახდეს ***პუნქტი 3.2.*** ამასთანავე, სიტყვა „საზოგადოების" შეიცვალოს სიტყვით *"ასოციაციის".*

IV. ა(ა)იპ "ქართული ერთობის დარბაზის" მოქმედი წესდების **მე-4 მუხლი** დარჩეს უცვლელად.

V. ა(ა)იპ "ქართული ერთობის დარბაზის" მოქმედი წესდების **მე-5 მუხლში** შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

პუნქტ 5.2.-ში მეორე წინადადება შეიცვალოს სიტყვებით: *"გამგეობა გადაწყვეტს წევრობის მსურველის წევრად მიღების საკითხს."*

VI. ა(ა)იპ "ქართული ერთობის დარბაზის" მოქმედი წესდების **მე-6 მუხლი** დარჩეს უცვლელად.

VII. ა(ა)იპ "ქართული ერთობის დარბაზის" მოქმედი წესდების **მე-7 მუხლში** შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

პუნქტ 7.1.-ში სიტყვა „ხელმძღვანელი" შეიცვალოს სიტყვით *„მმართველი".*

პუნქტ 7.3.-ში მეორე წინადადების ბოლოს სიტყვის „უმრავლესობით" შემდეგ ჩაემატოს მძიმე და სიტყვები *„გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ წესდებით გათვალისწინებულია უფრო დიდი უმრავლესობა.".*

პუნქტ 7.5.-ის (ბ) ქვეპუნქტში სიტყვა „თავმჯდომარის" შეიცვალოს სიტყვით *„პრეზიდენტის".*

VIII.მოხდეს ა(ა)იპ "ქართული ერთობის დარბაზის" მოქმედი წესდების **მე-8, მე-9 და მე-10 მუხლების** ადგილმონაცვლეობა: არსებული **მე-8 მუხლი** გახდეს ***მე-10,*** არსებული **მე-9 მუხლი** – ***მე-8.*** ხოლო არსებული **მე-10 მუხლი,** შესაბამისად, –***მე-9.***

IX. ა(ა)იპ "ქართული ერთობის დარბაზის" წესდების ახალ ***მე-8*** (ყოფ. **მე-9**) ***მუხლში*** შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

პუნქტ 8.1.-ში (ყოფ. 9.1.-ში) დასაწყისში სიტყვის „ასოციაციის" წინ ჩაემატოს სიტყვები *„საერთო კრებებს შორის პერიოდში"*; სიტყვა „ხელმძღვანელი" შეიცვალოს სიტყვით *„მმართველი"*; სიტყვები „9 (ცხრა)" შეიცვალოს სიტყვებით *„არანაკლებ 3(სამი) და არაუმეტეს 15(თხუთმეტი)"*; ამოღებულ იქნეს სიტყვა „წინასწარი".

პუნქტ 8.2.-ში (ყოფ.9.2.-ში) სიტყვების „წევრთა" და „ერთი მესამედის" შორის ჩაემატოს სიტყვები*„არსებული რაოდენობის"*; სიტყვების „წევრთა" და „ნახევარზე" შორის ჩაემატოს სიტყვები *„სხდომის ჩატარების დღისთვის ფაქტობრივად არსებული რაოდენობის"*; სიტყვების „გამგეობის" და „ჩატარების" შორის ჩაემატოს სიტყვა *„სხდომის"*; სიტყვა „7" შეიცვალოს სიტყვებით *„8 (რვა)".*

პუნქტ 8.3.-ის (ყოფ. 9.3.-ის) (ა) **ქვეპუნქტში** სიტყვების „მის" და „ორ" შორის ჩაემატოს სიტყვა *„არანაკლებ".*

იმავე პუნქტის (თ) **ქვეპუნქტში** სიტყვა „გაწეულ" შეიცვალოს სიტყვით *„გაწეული".*

იმავე პუნქტის (ო) **ქვეპუნქტში** სიტყვების „კენჭისყრით" და „წევრთა" შორის ჩაემატოს სიტყვები *„ფაქტობრივად არსებულ".*

იმავე პუნქტის (პ) **ქვეპუნქტში** სიტყვა „თავმჯდომარის" შეიცვალოს სიტყვით *„პრეზიდენტის".*

პუნქტ 8.4.-ის (ყოფ. 9.4.-ის) არსებული რედაქცია შეიცვალოს შემდეგი ფორმულირებით: *„გადადგომის, გარდაცვალების, უგზო-უკვლოდ დაკარგვის ან სხვა რაიმე მიზეზით გამგეობის წევრის გამოკლება არ იწვევს გამგეობის უფლებაუნარიანობის შეზღუდვას, სანამ გამგეობის დარჩენილ წევრთა საერთო რაოდენობა შეადგენს სამს ან მეტს. თუ გამგეობაში რჩება სამზე ნაკლები წევრი, გამგეობას მორიგ საერთო კრებამდე უჩერდება ყველა უფლებამოსილება, გარდა უფლებისა მოიწვიოს რიგგარეშე საერთო კრება, რომლის დღის წესრიგში აუცილებლად უნდა შევიდეს საკითხი გამგეობის დამატებითი წევრების არჩევისა და გამგეობის შემადგენლობის არანაკლებ სამ წევრამდე შევსების შესახებ.".*

X. ა(ა)იპ "ქართული ერთობის დარბაზის" წესდების ახალ ***მე-9*** (ყოფ. **მე-10**) ***მუხლში*** დაემატოს ახალი ***9.1. პუნქტი,*** ხოლო მისი არსებული პუნქტები **10.1., 10.2., 10.3., 10.4., 10.5.** და **10.6.,** შესაბამისად, გახდეს ***პუნქტები 9.2., 9.3., 9.4., 9.5., 9.6., 9.7.*** ამასთანავე, ამ **მუხლში** შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

სათაურში სიტყვის **„პრეზიდენტი"** შემდეგ დაემატოს სიტყვები: ***„და ვიცე-პრეზიდენტები".***

არსებული **პუნქტ 10.1.-ის** წინ ჩაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი **პუნქტი:**

„9.1. *ასოციაციის ყოველდღიური მართვის უფლებამოსილებას ახორციელებს ასოციაციის პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი ერთ-ერთი მოადგილე (ვიცე-პრეზიდენტი)."*

არსებული **პუნქტები 10.1., 10.2., 10.3., 10.4., 10.5., 10.6.** გახდეს, შესაბამისად, ***პუნქტები 9.2., 9.3., 9.4., 9.5., 9.6., 9.7.***

პუნქტ 9.2.-ში (ყოფ.10.1.-ში) სიტყვების „პრეზიდენტს" და „თავის" შორის ჩაემატოს სიტყვები *„და ვიცე-პრეზიდენტებს"*, ამოღებულ იქნეს სიტყვები „მორიგი საერთო კრების შემდეგ პირველსავე სხდომაზე" და „შესაბამისად", ხოლო სიტყვა „თავმჯდომარის" (ორივეგან) შეიცვალოს სიტყვებით *„პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტების".*

პუნქტ 9.3.-ის (ყოფ.10.2.-ის) (ა)**ქვეპუნქტში** სიტყვა „ხელმძღვანელობს" შეიცვალოს სიტყვებით *„ორგანიზებას უწევს".*

იმავე პუნქტის (ვ)**ქვეპუნქტის** დასაწყისში ამოღებულ იქნეს სიტყვები „შეიმუშავებს და".

იმავე პუნქტის (თ) **ქვეპუნქტი** არსებულის ნაცვლად ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: *„თანამშრომლობს ასოციაციის საქმიანობით დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან და აწარმოებს მიმოწერას მათთან;".*

იმავე პუნქტის (ი) *ქვეპუნქტი* არსებულის ნაცვლად ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: *„თავისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ნიშნავს და ათავისუფლებს ასოციაციის დირექტორს, აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას;“.*

იმავე პუნქტის (ლ) *ქვეპუნქტი* არსებულის ნაცვლად ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: *„ორგანიზებას უწევს და უძღვება ასოციაციის მიერ გამართულ კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, სამეცნიერო, სახელოვნებო, საზეიმო და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ღონისძიებებს;“.*

იმავე პუნქტის (მ)*ქვეპუნქტში* სიტყვა „აქტების“ შეიცვალოს სიტყვით „*გადაწყვეტილებების*“, ხოლო სიტყვები „და პასუხისმგებელია მათ შესრულებაზე“ ამოღებულ იქნეს.

იმავე პუნქტის (ნ), (ო), (პ) და (რ) *ქვეპუნქტები* ამოღებულ იქნეს.

იმავე პუნქტის (ჟ) *ქვეპუნქტი* გახდეს *ქვეპუნქტი (ნ).*

პუნქტ 9.4.-ში (ყოფ. 10.3.-ში) სიტყვების „გადადგომის“ და „შემთხვევაში“ შორის ჩაემატოს მძიმე და სიტყვები *„გარდაცვალების, უგზო-უკვლოდ დაკარგვის ან სხვა რაიმე მიზეზით გამოკლების“.*

პუნქტ 9.5.-ში (ყოფ.10.4.-ში) ამოღებულ იქნეს სიტყვები „დარჩენილი ვადით”.

XI. ა(ა)იპ **“ქართული ერთობის დარბაზის”** წესდების ახალ *მე-10* (ყოფ. მე-8) *მუხლში* შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

პუნქტ 10.1.-ში (ყოფ. 8.1.-ში) სიტყვა „პრეზიდენტი“ შეიცვალოს სიტყვით *„დირექტორი“*, ხოლო სიტყვები „მისი მოადგილე (ვიცე-პრეზიდენტი).“ შეიცვალოს სიტყვებით *„დირექტორის მიერ სათანადო უფლებამოსილებით (მინდობილობით) აღჭურვილი პირი.“*

პუნქტ 10.1.-ის (ყოფ.8.1.-ის) შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი **პუნქტები:**

„10.2. დირექტორის თანამდებობაზე ასოციაციის პრეზიდენტი თავისი შეხედულებისამებრ ნიშნავს გამგეობის ერთ-ერთ წევრს.

10.3.დირექტორი ინიშნება უვადოდ პრეზიდენტის მიერ მისი თანამდებობიდან გადაყენებასა და ახალი დირექტორის დანიშვნამდე. პრეზიდენტის ცვლილება არ იწვევს ავტომატურად დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტას. მისი უფლებამოსილება იწყება მისი, როგორც ასოციაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და გრძელდება სამეწარმეო რეესტრში ახალი დირექტორის რეგისტრაციამდე.

10.4. დირექტორი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის, ამ წესდებისა და შინაგანაწესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად. მისი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება იზღუდება წევრთა საერთო კრების, გამგეობისა და პრეზიდენტისთვის ამ წესდებით განსაზღვრული კომპეტენციის გათვალისწინებით.

10.5. დირექტორი:

ა) მოქმედებს ასოციაციის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ბ) ასოციაციის სახელით აწარმოებს მოლაპარაკებებს, დებს გარიგებებს, საჭიროების შემთხვევაში გასცემს მინდობილობებს;

გ) ხელს აწერს ასოციაციის ოფიციალურ დოკუმენტებს, მათ შორის, ფინანსურ დოკუმენტაციას;

დ)ხსნის და ხურავს ასოციაციის საბანკო ანგარიშებს და აწარმოებს საბანკო ოპერაციებს ამ ანგარიშებზე;

ე) განკარგავს ასოციაციის ქონებას, ასევე ასოციაციის კუთვნილ წილებსა და აქციებს ასოციაციის მიერ დაფუძნებულ და სხვა საწარმოებში;

ვ) ასოციაციის სახელით გამოდის სასამართლოში მოსარჩელედ/მოპასუხედ;

ზ) ასოციაციის სახელით დებს ხელშეკრულებებს ორგანიზაციებთან და/ან ფიზიკურ პირებთან ერთობლივად განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებულ საკითხებზე;

თ) უზრუნველყოფს პრეზიდენტისა და გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას;

ი) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს ასოციაციის სახელით;

კ) შეიმუშავებს ასოციაციის ორგანიზაციული სტრუქტურის, შინაგანაწესისა და საშტატო განრიგის პროექტებს და წარუდგენს მათ პრეზიდენტსა და გამგეობას;

ლ) დამტკიცებული საშტატო ერთეულების შესაბამისად სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს ასოციაციის მომსახურე პერსონალს, აფორმებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს.

10.6. დირექტორი უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ ის მოქმედება, რომელიც ემსახურება ასოციაციის მიზნებს და არ აყენებს მას ზიანს. იგი ვალდებულია ასოციაციის საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად. მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, დირექტორი ასოციაციის წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის.

10.7.დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან ასოციაციის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისთვის შეუძლია მხოლოდ პრეზიდენტს. მასვე შეუძლია ნებისმიერ დროს გაათავისუფლოს დირექტორი თანამდებობიდან შესაბამისი საფუძვლის მითითების გარეშე. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტი დაუყოვნებლივ ნიშნავს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ხოლო ერთი თვის ვადაში ნიშნავს ახალ დირექტორს.

10.8. დირექტორს უფლება აქვს გადადგეს თანამდებობიდან. ამ შემთხვევაში, დირექტორი ვალდებულია დაიცვას ორგანიზაციასთან დადებული სასამსახურო ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროცედურები.

10.9. დირექტორის გადადგომის, გარდაცვალების, უგზო-უკვლოდ დაკარგვის ან სხვა რაიმე მიზეზით გამოკლების შემთხვევაში პრეზიდენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ დანიშნოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ხოლო ერთი თვის ვადაში დანიშნოს ახალი დირექტორი.

10.10. დირექტორი, მასთან დადებული შრომითი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, შეიძლება იღებდეს ფულად ანაზღაურებას (ხელფასს) თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის."

XII. ა(ა)იპ "ქართული ერთობის დარბაზის" მოქმედი წესდების **მე-11 მუხლში** შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

პუნქტ11.2.-ში სიტყვების „ქონება" და „შეიძლება" შორის ჩაემატოს სიტყვები *"ისევე, როგორც ამ ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები,"*

XIII. ა(ა)იპ "ქართული ერთობის დარბაზის" მოქმედი წესდების **მე-12 მუხლს** დაემატოს ახალი ***12.1. პუნქტი,*** ხოლო მისი არსებული პუნქტები **12.1., 12.2.** და **12.3.,** შესაბამისად, გახდეს ***12.2., 12.3.*** და ***12.4.*** ამასთანავე, ამ **მუხლში** შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

სათაური არსებულის ნაცვლად ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: **„ასოციაციის *რეორგანიზაცია* და საქმიანობის შეწყვეტა"**

არსებული **პუნქტ 12.1.-ის** წინ ჩაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი **პუნქტი:**

"12.1. ასოციაციის მიზნებისა და ამოცანების უკეთ განხორციელებისათვის ასოციაციის წევრთა საერთო კრებამ ამ წესდების მე7 მუხლით დადგენილი წესით შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ასოციაციის გაყოფის,შერწყმის ან სხვა სახის რეორგანიზაციის შესახებ."

პუნქტ 12.2.-ში (ყოფ.**პუნქტ 12.1.-ში**) სიტყვა „(გაუქმება)" შეიცვალოს სიტყვით *„(ლიკვიდაცია)".*

იმავე პუნქტის (ა)**ქვეპუნქტს** სიტყვის „გადაწყვეტილებით" შემდეგ დაემატოს სიტყვები *„ამ წესდების მე-7 მუხლით დადგენილი წესით;".*

პუნქტ 12.4.-ში (ყოფ. **პუნქტ 12.3.-ში**) სიტყვების „არასამეწარმეო" და „იურიდიულ" შორის ჩაემატოს სიტყვა *„(არაკომერციულ)".*

XIV. ა(ა)იპ **"ქართული ერთობის დარბაზის"** მოქმედ წესდებას დაემატოს შემდეგი შინაარსის *მე-13 მუხლი:*

„მუხლი 13. დასკვნითი დებულებანი

13.1. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ ახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

13.2. იმ საკითხებისთვის, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე წესდებით, გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმები.

13.3. ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ასოციაციის დამფუძნებელთა ან წევრთა შორის, გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში მოდავე მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს.

13.4. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება წერილობითი ფორმით."

XV. მიმდინარე საერთო კრებაზე მიღებული ცვლილებები შეტანილ იქნეს უშუალოდ წესდების ტექსტში და აღნიშნულის გათვალისწინებით დამტკიცდეს ა(ა)იპ **"ქართული ერთობის დარბაზის"** წესდების ახალი რედაქცია.

ა(ა)იპ **"ქართული ერთობის დარბაზის"** გამგეობა

ისტორ
საგანგ
201 წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "ქართული ერთობის დარბაზის" (ს/ნ 402007010) გამგეობის სხდომის ო ქ მ ი №2024/2-01

ქ. თბილისი 08 იანვარი 2024წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის "ქართული ერთობის დარბაზის" (შემდგომ ტექსტში – "ქედი") გამგეობის სხდომა ჩატარდა მისამართზე: ქ. თბილისი, ჩაჩავას ქ. №1.

<u>სხდომას ესწრებოდნენ გამგეობის წევრები:</u>

1. რამაზ ყურაშვილი (პ/ნ 01008000687);
2. რომან რურუა (პ/ნ 01008003371);
3. ჯუმბერ კოპალიანი (პ/ნ 01017015598);
4. ალექსანდრე კასრაძე (პ/ნ 01022001647);
5. პოლიკარპე მონიავა (პ/ნ 35001043960);
6. თეიმურაზ შაშიაშვილი (პ/ნ 60001005841);
7. ამირან აფციაური (პ/ნ 60001006066);
8. ავთანდილ ჩხაიძე (პ/ნ 01009001409);
9. ზურაბ ქუმსიაშვილი (პ/ნ 01020002767);
10. თამარ მაჩაიძე (პ/ნ 01024037221);
11. ანა ძაძამია (პ/ნ 39001040385);
12. შორენა დარჩია (პ/ნ 65002003919);
13. ქეთევან ენუქიძე (პ/ნ 01011063123);
14. ირაკლი მაჭავარიანი (პ/ნ 01009004129).

<u>სხდომის თავმჯდომარე:</u> რამაზ ყურაშვილი (პ/ნ 01008000687).
<u>სხდომის მდივანი:</u> ირაკლი მაჭავარიანი (პ/ნ 01009004129).

საჯარო რეესტრის
თარიღი "___" ___

<u>დღის წესრიგი:</u>

1. ა(ა)იპ "ქართული ერთობის დარბაზის" პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტებიხ არჩევა.

1. <u>მოისმინეს:</u>

სხდომის თავმჯდომარის განცხადება იმის თაობაზე, რომ "ქედის" წესდების ახლახანს მიღებული ახალი რედაქციის მეცხრე მუხლის 9.1. პუნქტის თანახმად, "ასოციაციის ყოველდღიური მართვის უფლებამოსილებას ახორციელებს ასოციაციის პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მისი ერთ-ერთი მოადგილე (ვიცე-პრეზიდენტი)". დღესდღეობით არსებული მდგომარეობით ჩვენი პირველი პრეზიდენტი, ბატონი რევაზ ჩხეიძე უკვე მრავალი წელია ჩვენს შორის აღარაა. პანდემიის პერიოდში დაგვტოვა ასევე ვიცე-პრეზიდენტმა, ბატონმა ანზორ ერქომაიშვილმა. ამრიგად, თავდაპირველად არჩეული მმართველობიდან მხოლოდ თქვენი მონა-მორჩილი ვარ დარჩენილი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ორგანიზაციის ქმედუნარიანობის უზრუნველყოფისთვის, გამომსვლელის აზრით, აუცილებელია "ქედის" მმართველობის სრულად დაკომპლექტება, რაც წესდებით სწორედ გამგეობის პრეროგატივაა. კერძოდ, "ქედის" წესდების ახალი რედაქციის მერვე მუხლის 8.3. პუნქტის (ა) ქვეპუნქტის თანახმად, "გამგეობა გამგეობის წევრთაგან ირჩევს ასოციაციის პრეზიდენტს და მის არანაკლებ ორ მოადგილეს (ვიცე-პრეზიდენტებს)". ამითაა განპირობებული გამგეობის მიმდინარე სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის თავმჯდომარემ წინადადებით მიმართა გამგეობის წევრებს ასოციაციის პრეზიდენტად არჩეულ იქნეს ბატონი ჯუმბერ კოპალიანი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტებად წარმოადგინა ალექსანდრე კასრაძისა და პოლიკარპე მონიავას კანდიდატურები.

<u>აზრი გამოთქვეს:</u>

ავთანდილ ჩხაიძემ, თეიმურაზ შაშიაშვილმა, რომან რურუამ, რომლებმაც მოიწონეს წარმოდგენილი კანდიდატურები და, თავის მხრივ, დაამატეს, რომ მიმდინარე სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა რამაზ ყურაშვილმა განვლილ პერიოდში დადებითად წარმოაჩინა თავი, როგორც ვიცე-პრეზიდენტმა, და სასურველი იქნება, თუ ის გააგრძელებს აღნიშნული მოვალეობის შესრულებას.

<u>გამგეობის სხდომამ ერთხმად დაადგინა:</u>

1. არჩეულ იქნეს ა(ა)იპ"ქართული ერთობის დარბაზის" პრეზიდენტად ჯუმბერ კოპალიანი, პ/ნ 01017015598, დაბ. 11.11.1939წ. ცაგერის რ-ნის სოფ. ქულბაქში, მცხ. ქ. დმანისი, სიონის ქ. №8.

2. არჩეულ იქნენ ა(ა)იპ "ქართული ერთობის დარბაზის" ვიცე-პრეზიდენტებად:

   1. ალექსანდრე კასრაძე, პ/ნ 01022001647, დაბ. 16.04.1969წ. თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ხვიჩიას ქ. №5, ბინა №1;
   2. პოლიკარპე მონიავა, პ/ნ 35001043960, დაბ. 30.07.1956წ. მარტვილის რ-ნის სოფ. ქვედა ხუნწში, მცხ. ქ. თბილისი, ვ. დოლიძის ქ. №16ა, ბინა №17;
   3. რამაზ ყურაშვილი, პ/ნ 01008000687, დაბ. 17.01.1941წ. თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. №31 ბინა №8.

არჩეულმა პირებმა მადლიერება გამოხატეს მათ მიმართ აღმოჩენილი ნდობისთვის.

<u>სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.</u>

ეროვნული ბიბლიოთეკა
201 წ.
ოფერა

სხდომის თავმჯდომარე

რამაზ ყურაშვილი
(პ/ნ 01008000687)

სხდომის მდივანი

ირაკლი მაჭავარიანი
(პ/ნ 01009004129)

გავეცანი, ვეთანხმები.
ა(ა)იპ"ქართული ერთობის დარბაზის"
პრეზიდენტი

ჯუმბერ კოპალიანი
(პ/ნ 01017015598)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
ფურცელი №613
თარიღი "09" აგვისტო 2024 წ.
გვ.რაოდენობა 2 ხელმოწერა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
“ქართული ერთობის დარბაზის” (ს/ნ 402007010)
პრეზიდენტის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2024/3-01

ქ. თბილისი 08 იანვარი 2024წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის “ქართული ერთობის დარბაზის” წესდების მეცხრე მუხლის 9.3. პუნქტის (ი) ქვეპუნქტისა და მეათე მუხლის 10.1., 10.2. და 10.3. პუნქტების შესაბამისად ა(ა)იპ “ქართული ერთობის დარბაზის” დირექტორად ამავე წესდების მეათე მუხლში ჩამოყალიბებული უფლებამოსილებებით დაინიშნოს ირაკლი მაჭავარიანი, პ/ნ 01009004129, დაბ. 24.12.1954წ. თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, VI კვარტალი, კორპუსი Iბ, ბინა №32.

ა(ა)იპ“ქართული ერთობის დარბაზის”
პრეზიდენტი

ჯუმბერ კოპალიანი
(პ/ნ 01017015598)

გავეცანი, ვეთანხმები.
ა(ა)იპ“ქართული ერთობის დარბაზის”
დირექტორი

ირაკლი მაჭავარიანი
(პ/ნ 01009004129)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №613
თარიღი "09" იანვარი 2024.
მე.რაოდენობა / ხელმოწერა

სადამფუძნებლო შეთანხმება

(არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის <u>რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების</u>
სარეგისტრაციო მონაცემები/სარეგისტრაციო განაცხადი)

<u>* – სიმბოლოთი აღნიშნული ველების შევსება სავალდებულოა</u>

სამართლებრივი ფორმა --- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

***საფირმო სახელწოდება --- ა(ა)იპ „ქართული ერთობის დარბაზი"**
უნდა განისაზღვროს ქართულ ენაზე, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვლისწინებული წესით

*** საფირმო სახელწოდება ინგლისურ ენაზე** --- N(N)LE "Council of Georgian Unity"
უნდა შეესაბამებოდეს ქართულ ენაზე განსაზღვრულ სახელწოდებას

*** საიდენტიფიკაციო ნომერი** --- 402007010
უნდა მიეთითოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული ცხრანიშნა ნომერი

*** იურიდიული მისამართი** --- თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., VI კვარტალი, კორპუსი Iბ, ბინა №13
უნდა მიეთითოს ორგანიზაციის იურიდიული მისამართი

ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართი --- megobartadarbazi@gmail.com; qartuliertobisdarbazi@gmail.com
(არსებობის შემთხვევაში - ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინული შრიფტით)

ორგანიზაციის ტელეფონის ნომერი + 995 599 76 32 31
(არსებობის შემთხვევაში)

***დამფუძნებლები** (მიეთითება ინფორმაცია თავდაპირველი დამფუძნებლის/დამფუძნებლების შესახებ)
ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში საფირმო სახელწოდება საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული მისამართი

1. **რევაზ ჩხეიძე** – დაბ. 08.12.1926წ., პირ. №*01018002702; ქ.* თბილისი, ლარსის ქ. 5 ბინა
2. **რამაზ ყურაშვილი** - დაბ. 17.01.1941წ.; პირ. №01008000687; ქ. თბილისი, ფალიაშვილის 31 ბინა 8
3. **ანზორ ერქომაიშვილი** – დაბ. 10.08.1940წ.; *პირ.#01015001522; ქ. თბილისი, აბანოს ქ. 21*
4. **არნოლდ გეგეჭკორი** - დაბ. 16.01.1940წ.; პირ. №*01026000926; ქ. თბილისი, ფანასკერტელის ქ. 6 ბინა 193*
5. **ომარ მხეიძე** - დაბ. 25.04.1935წ.; პირ. №*0108017905; ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 27/29*
6. **გრიგორი თოიძე** - დაბ. 18.12.1932წ.; პირ. №*01007005260; ქ. თბილისი, მირცხულავას 3ა ბინა 76*
7. **რომან რურუა** - დაბ. 25.11.1942წ., პირ. №*01008003371; ქ. თბილისი, ჩიქოვანის 16.*

***ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი/პირები**
(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია)

დირექტორი - ირაკლი მაჭავარიანი, პ/ნ 01009004129, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., VI კვარტალი, კორპუსი Iბ, ბინა N32.

***ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები**
(უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელი ორგანოს წევრები ერთობლივად (ერთად) წარმოადგენენ ორგანიზაციას, თუ ერთპიროვნულად (ცალ-ცალკე). თუ ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს აქვთ განსხვავებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ასეთი უფლებამოსილების ფარგლები უნდა მიეთითოს თითოეული ხელმძღვანელი ორგანოს წევრთან მიმართებით)

ერთპიროვნული

საჯარო რეესტრის ეროვ
საჯარო რეესტრის პ
შტამპი
თარიღი "___" ____
გვ.რაოდენობა ხელმ

*ორგანიზაციის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი

(რამდენიმე ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის არსებობის შემთხვევაში უნდა მიეთითოს მხოლოდ ერთი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

დირექტორი - ირაკლი მაჭავარიანი, პ/ნ 01009004129, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., VI კვარტალი, კორპუსი Iბ, ბინა N32.

*ორგანიზაციის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი

mjaparidze@yahoo.com

(ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინური შრიფტით)

+ 995 599 76 32 31

(საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორის მობილური ტელეფონის ნომერი)

მმართველი ორგანო --- წევრთა საერთო კრება, გამგეობა

(არსებობის შემთხვევაში) (მმართველი ორგანოს დასახელება)

გამგეობის წევრები:

(მმართველი ორგანოს დასახელება)

(ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი - ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია))

1. **ჯუმბერ კოპალიანი, პ/ნ 01017015598, მცხ. ქ. დმანისი, სიონის ქ. №8 – პრეზიდენტი;**
2. **რამაზ ყურაშვილი (პ/ნ 01008000687), მცხ. ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქ. №31, ბინა №8 – ვიცე-პრეზიდენტი;**
3. **ალექსანდრე კასრაძე, პ/ნ 01022001647, მცხ. ქ. თბილისი, ხვიჩიას ქ. №5, ბინა №1 – ვიცე-პრეზიდენტი;**
4. **პოლიკარპე მონიავა, პ/ნ 35001043960, მცხ. ქ. თბილისი, ვ. დოლიძის ქ. №16ა, ბინა №17 – ვიცე-პრეზიდენტი;**
5. **რომან რურუა (პ/ნ 01008003371), მცხ. ქ. თბილისი, ჩიქოვანის ქ. №16;**
6. **თეიმურაზ შაშიაშვილი, პ/ნ 60001005841, მცხ. ქ. ქუთაისი, კ. გამსახურდიას V შეს. №1;**
7. **ამირან აფციაური, პ/ნ 60001006066, მცხ. ქ. ქუთაისი, თავისუფლების ქ. №12;**
8. **ავთანდილ ჩხაიძე, პ/ნ 01009001409, მცხ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბახვი;**
9. **ზურაბ ქუმსიაშვილი, პ/ნ 01020002767, მცხ. ქ. თბილისი, ა. სუმბათაშვილ-იუჟინის ქ. №44;**
10. **თამარ მაჩაიძე, პ/ნ 01024037221, მცხ. ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზ. №26, III კორპუსი, ბინა №17;**
11. **ანა ძაძამია, პ/ნ 39001040385, მცხ. ქ.თბილისი, გლდანის I მ/რ, ბოჭორიშვილის ქ.№3, ბინა №11;**
12. **შორენა დარჩია, პ/ნ65002003919, მცხ. ქ. თბილისი, დ/დიღომი, მირიან მეფის ქ. №5, ბინა №11;(?)**
13. **ქეთევან ენუქიძე, პ/ნ 01011063123, მცხ. ქ.თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ.№1, ბინა№69;**
14. **ირაკლი მაჭავარიანი, პ/ნ 01009004129, მცხ. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ., VI კვარტალი, კორპუსი Iბ, ბინა №32.**

*დანართი: წესდება[1]

დირექტორი - ირაკლი მაჭავარიანი (პ/ნ 01009004129)
ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

ხელმოწერა

თარიღი: 09 იანვარი, 2024 წელი

[1] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მონაცემები უნდა განისაზღვროს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წესდებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

ქართული ერთობის დარბაზი

<u>წესდება</u>

<u>(2024 წლის 08 იანვარს საერთო კრებაზე შეტანილი ცვლილებებით)</u>

<u>ქ.თბილისი</u>

<u>2014 წელი</u>

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. ა.(ა).ი.პ. „ქართული ერთობის დარბაზი“ (შემდგომში – “ასოციაცია ქედი” ან “ასოციაცია”) არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.2. ასოციაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

1.3. ასოციაცია, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

1.4. ასოციაციის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, VI კვარტალი, კორპუსი Iბ, ბინა №13.

ელ.ფოსტა. megobartadarbazi@gmail.com; qartuliertobisdarbazi@gmail.com

მუხლი 2. მიზნები

2.1. **„ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“**

ვერთიანდებით სახელწოდებით **„ქართული ერთობის დარბაზი“** და ყველას გასაგონად ვაცხადებთ, რომ დღეს ქვეყნისათვის უმთავრესია ქართული აზროვნების დამკვიდრებით ყოველივე ქართულის დაცვა, ყოველივე ქართულის დამკვიდრება, ყოველივე ქართულის განვითარება.

„ქართული“ - ნიშნავს პლანეტარულ აზროვნებას, ვინაიდან ის თავისი არსით, შინაგანი ბუნებით, შორს დგას როგორც კოსმოპოლიტიზმისაგან, ისე ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებში ჩაკეტილი ნაციონალიზმისაგან.

„დარბაზი“ - ნიშნავს ერთგულებას ფესვებისადმი და მემკვიდრეობითობას ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინანდელი დარბაზის პრინციპებისადმი, რაც გახლდათ ღირსეული მცდელობა სახელმწიფო აზროვნებაში და მმართველობაში პარლამენტარიზმის დანერგვისა.

„ერთობა“ ნიშნავს - საქართველოს ისტორიული სიძლიერის წყაროებისაკენ მობრუნებას; ერთობას საქართველოს შვილ აფხაზთა, ოსთა, რუსთა, უკრაინელთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა, ბერძენთა, ებრაელთა, იეზიდთა, ასირიელთა, ქართველთა და მრავალთა სხვათა... ერთობა სხვადასხვა თაობის სამშობლოზე გულანთებულ შვილთა... ერთობას სხვადასხვაგვარ მოაზროვნეთა სამშობლოსათვის სამოღვაწეოდ... ერთობას მძიმე ყოფით გათითოკაცებული საზოგადოებისა, გათითოკაცებული სიკეთისა.

„ქართული ერთობის დარბაზი“ - შემოკლებით „ქედი“, კავკასიონის ქვეყანაში - ეს გახლავთ საქართველოს და ზოგადად კავკასიის დიდებულების სიმბოლო, მისი სიმაღლე, მისი სიმტკიცე, მისი სიდიადე.

2.2. ჩვენ გვაერთიანებს ბიბლიური სიბრძნე: მთავარში - ერთობა, სადაოში - თავისუფლება, მაგრამ ყველაფერში სიყვარული.

ჩვენ შეიძლება ბევრი რამით განვსხვავდებოდეთ ერთმანეთისგან: ასაკით, მსოფლმხედველობით, მრწამსით, ეროვნული კუთვნილებით, სოციალური მდგომარეობით... მაგრამ მთავარში - სამშობლოში - გვაქვს ერთობა და ერთნი ვართ იმაში, რომ ჩვენი მოქმედების საფუძველი იქნება სიყვარული.

2.3. „ქართული ერთობის დარბაზი" გახლავთ საკრებულო იმ ადამიანთა, რომელთაც გული შესტკივათ ქართული აზროვნების გასაჭირის გამო. ის არ არის მხოლოდ საკუთრივ ქართველთა საფიქრალი და არ შემოიფარგლება ეთნიკური ქართველებით.

2.3.1 განა ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური ურთიერთობების დღევანდელი მდგომარეობა - ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?!

2.3.2. განა შეტევა ქართულ ეკლესიაზე, ქართულ ენაზე, ქართულ ტრადიციებზე, საერთოდ ქართულ კულტურაზე მისი ფართო გაგებით - ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?!

ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს მუშაობას საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველობასთან და საქართველოს მოქალაქეებთან. რომლებიც, ერთის მხრივ ნიჭმა და მეორეს მხრივ, გაჭირვებამ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში აღმოაჩინა. პრინციპული მნიშვნელობა აქვს მათთან დიალოგის შენარჩუნებას, მათ ინფორმირებას საქართველოში მიმდინარე პროცესებზე.

ჩვენ უნდა შევძლოთ კარგად გავიაზროთ გლობალიზაცია, როგორც ობიექტური მოვლენა და პროცესი და შევძლოთ ეროვნულის და ეროვნულობის შენარჩუნება; ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ეს შეძლოს საქართველოში მცხოვრებმა ყველა ეთნიკურმა ჯგუფმა.

2.3.3. განა ის, რომ საერთაშორისო მასშტაბით დღემდე არ განმტკიცებულა ჩვენი ქვეყნის კულტურული სახე (იმიჯი), ის, რომ ანტიკური კოლხეთისა და ბრწყინვალე ივერიის მემკვიდრე საქართველოზე დღეს სხვადასხვა შორეულ თუ არც ისე შორეულ ქვეყანაში ათასგვარი მცდარი წარმოდგენაა გავრცელებული, ვინაიდან ვერ შევძელით ქვეყნიერებისათვის სრულყოფილად გაგვეცნო ჩვენი უძველესი კულტურის მთელი სიღრმე და სიფართე, რაც არაერთმა ერმა თუ სახელმწიფომ მოახერხა - ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?

2.3.4. განა ის, რომ დღემდე კონსტიტუციურად ვერ დავადგინეთ, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დაბადებული ყოველი ქართველი, ყოველი აფხაზი დაბადებისთანავე იურიდიულად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მოქალაქედ, რადგან **არც ქართველს, არც აფხაზს არასოდეს არ ჰქონია სხვა სამშობლო, გარდა საქართველოსი,** - ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?

2.3.5. განა ის, რომ საქართველოს საინფორმაციო სივრცე ქართული აღარ არის, მეტიც, ებრძვის საქართველოს; ცალკეულ პოლიტიკოსთა პოლიტიკურ პარტიათა პრიმიტიული აზროვნების აგიტპუნქტებად იქცნენ ტელევიზიები - ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?

2.3.6. განა ის, რომ ათწლეულებია, რეალურ კოლონიზატორს მეგობრად და მოჩვენებით ბელადს მხსნელად აღვიქვამთ - ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?

2.3.7. განა ის, რაც ოც წელზე მეტია, უგულებელყოფილია: პროფესიონალიზმი, გამოცდილება, კეთილსინდისიერება; ქვეყნისადმი ერთგულება შეცვლილია ხელისუფალისადმი ერთგულებით და ქვეყანა იმართება ემოციით, სუბიექტური მოსაზრებებით; რომ სახელმწიფო არ არის ორიენტირებული ძლიერზე, რომ ამის შედეგად ქვეყანა აცდა ბუნებრივი განვითარების გზას და ევროპა - აზიის გზაჯვარედინზე მდებარე დიდი ისტორიის ქვეყნის ურთიერთობა გარე სამყაროსთან ერთვექტორული გახდა - ქართული აზროვნების გასაჭირი არ არის?

2.4. ყოველივე აღნიშნული, ჩვენი აზრით, გაპირობებულია ორი უმთავრესი პრობლემის არსებობით:

2.4.1 **პირველი პრობლემა** ძირითადში ქვეყნის გარეთაა და მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვერ შევძელით გარე სამყაროს, უპირველესად, დემოკრატიულ მსოფლიოს რეალურად ვაჩვენოთ ქართული სახელმწიფოებრიობის დიდი ისტორია, მისი დემოკრატიული ბუნება. ამის შედეგია, ერთი მხრივ, ის, რომ დემოკრატიულმა მსოფლიომ არათუ არ იცის ჩვენი ქვეყნის ისტორია და დამსახურება მსოფლიო ცივილიზაციაში, ხალხის დემოკრატიული ბუნება, არამედ გვიყურებენ, როგორც განვითარებად, ზოგჯერ კი, როგორც განუვითარებელ ქვეყანას - და ამიტომ გვექცევიან, როგორც ნეოკოლონიალურ სახელმწიფოს. მეორე მხრივ ის, რომ უკვე საუკუნეებია, რეალურ კოლონიალისტებს აღვიქვამთ მეგობრებად.

2.4.2. **მეორე პრობლემა** ქვეყნის შიგნითაა და მდგომარეობს იმის გაუცნობიერებლობაში, რომ საქართველოს დემოკრატიული მომავალი - ეს არის თავისუფალი ადამიანი... ყოველ ადამიანს გვაქვს ღვთისაგან ბოძებული ბუნებითი უფლებები: სიცოცხლის უფლება, სიტყვის უფლება, საკუთრების უფლება და უკეთესი ცხოვრებისაკენ მისწრაფების უფლება... ამის გარანტი ხელისუფლება უნდა იყოს. ეს მისი კონსტიტუციური მოვალეობაა. ხელისუფლება უნდა იყოს იმის გარანტი, რომ სიცოცხლის უფლებიდან გამომდინარე, შეუქცევადად უზრუნველყოს ადამიანისათვის: საცხოვრისი, საარსებო მინიმუმი, ჯანმრთელობის დაცვა და განათლების მიღება. ამასთან, უმნიშვნელოვანესია, ყოველი ადამიანი აცნობიერებდეს ბიბლიურ შეგონებას „თავისუფლებისათვის გაგათავისუფლათ ღმერთმა და ნუ იქნებით ადამიანთა მონები“...

2.5. გულის სითბოს და აზრის ნათელს ქართველთა, მზე-საქართველოს, აზროვნების გასაჭირის ავი ღრუბელი შემოხვევია და ძველებურად ვეღარ ანათებს, ვეღარ ათბობს, ვეღარ ბრწყინავს.

დღეს „საქართველო დაჭრილი მზეა“ !!!

2.5.1. **მიუხედავად მცდელობისა,** ქვეყანა განვითარებულიყო ცივილიზებულ სამყაროში მიღებული ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისა და ნორმების შესაბამისად - ქვეყანაში სისტემური კრიზისია.

2.5.2. ჩვენ გაგვიძლიერდა იმის შეგრძნება, რომ ერი, დღემდე ვერ გახდა ქვეყნის პატრონი. საქართველო კვლავაც იმართება ქვეყნის გარე ძალების მიერ, მათი ინტერესების შესაბამისად და ჩვენი სახლმწიფოს საზიანოდ. ქვეყანას მორიგეობით განაგებენ, ძირითადად, გარედან თავსმოხვეული, ამისათვის საგანგებოდ გაწვრთნილი არაქართული ცნობიერების სუბიექტები.

2.5.3. რაც არ გვაკლია, ეს არის ქვეყნის გარე ძალთა მსახური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკოსები, საინფორმაციო საშუალებები... რაც არნახულად გვაკლია - ეს არის ქართული განწყობის, სახელმწიფოებრივი აზროვნების საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, საინფორმაციო საშუალებები.

2.5.4. ქართული ცნობიერება, ქართული აზროვნება, ქართული მორალი დაუნდობლად ფეხქვეშ ითელება და იცვლება ყალბი ფასეულობებით.

ბოლო ოცი წლის მანძილზე, ჩვენს ხელისუფალთ ცივილიზებული მსოფლიოსაგან მოაქვთ ის, რაც გვანგრევს და უარს ამბობენ იმ გამოცდილებაზე, რომელიც ჩვენს ქვეყანას სასიკეთოდ წაადგებოდა.

2.5.6. ყველაფერ ამაში ჩვენი ბრალიცაა, პირველ რიგში – ინტელექტუალური ადამიანებისა, რომლებიც დიდი ხანია, განერიდნენ პოლიტიკას და ამით ყველა სხვას მისცეს საშუალება, გაქცეულიყო პოლიტიკაში. ჩვენ არ მოგვწონს გზა, რომლითაც ქვეყანა მიდის 20-ზე მეტი წელია. ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ საჭიროა სისტემური გარდაქმნები, რადგანაც უკვე დაგროვდა მომაკვდინებელ საფრთხეთა მთელი კომპლექსი, რომელშიც არა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვა შედის.

2.6. ინტელექტი და ბიზნესი - აი, ორი საყრდენი, რომელთაც არ გააჩნია საზღვრები და რომელთა წყალობით უნდა მოხდეს საქართველოს სრული ჰარმონიზაცია მსოფლიოს ერთა დიდ ოჯახში.

2.7. ქვეყნის წინაშე მდგარი ურთულესი ამოცანების განსახორციელებლად სახელმწიფოს მმართველობის პროცესში ის ადამიანები უნდა შემოვიდნენ, რომელთა მეთოდია მეცნიერული, სისტემური მიდგომები ყველაფრის, მათ შორის, რეფორმებისა და გარდაქმნების მიმართ.

2.8. ჩვენ გვინდა რომ ყველას ვუთხრათ: უნდა დამთავრდეს ანონიმური და ერთპიროვნული გადაწყვეტილებებისა და მოქმედებების დრო და დაიწყოს სოლიდარული მოძრაობა ქვეყნის გადარჩენისათვის. ეს მითუმეტეს საჭიროა დღეს, როდესაც ხელისუფლების მიერ სამართლიანობის დადგენის უაზროდ გაჭიანურების ფონზე ჯიუტად გრძელდება ერის წინაშე დამნაშევე „ნაციონალური მოძრაობის“ რეანიმაციისა და მასთან კოაბიტაციის რეჟიმი, რაც სულ უფრო ხელშესახებს ქმნის „ნაციონალური მოძრაობის“ მეორე პოლიტიკურ ძალად წარმოჩინებას და ხელისუფლებაში დაბრუნების საშიშროებას

2.9. ყოველ დროში, სახელმწიფო კაცები, ერის მამა - დიდი ილია ფიქრობდნენ ისეთ საქართველოზე, სადაც ქვეყანას მართავს დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება – ხელისუფლებას მართავს საზოგადოება – საზოგადოებას მართავს ინტელექტი და ზნეობა. სწორედ

ეს არის მეცნიერული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნების შერწყმა, რომლის საფუძვლები ჯერ კიდევ ათი საუკუნის წინ შექმნა დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემიის დაარსებით.

2.10. ქართული სახელმწიფოებრიობის 30-საუკუნოვანი ისტორია დასტურია იმისა, რომ ჩვენ ვიდექით ცივილიზაციის სათავეებთან და მუდმივად ვიყავით ცივილიზაციის მწვერვალზე.

2.11. მემკვიდრეობითობის ამ ქართული განწყობიდან გამომდინარე, „ქართული ერთობის დარბაზი“:

ერთი მხრივ, ეს არის - უფროსი თაობის ანდერძი შემდგომი და ახალგაზრდა თაობებისადმი: „გიყვარდეთ საქართველო, გაუფრთხილდით საქართველოს, დაიცავით საქართველო!“

მეორე მხრივ, შემდგომი და ახალგაზრდა თაობებისათვის, ეს არის ქართული ცნობიერების, ქართული კულტურის დაცვა-შენარჩუნება გლობალიზაციის ურთულეს და უმძიმეს პერიოდში.

ყველას კი გვაერთიანებს: საქართველო უპირველეს ყოვლისა!

2.12. ქართული ერთობის დროა! „ქართული ერთობის დარბაზი“ – „ქედი“ - იქნება ის მწვერვალთგრეხილი, რომლის კალთებზე დაივანებს ქართული ერთობა, ქართული აზროვნება, ქართული სულიერება!

2.13. ზემოთაღნიშნული მიზნების მისაღწევად „ქართული ერთობის დარბაზი“ ჩამოყალიბდება როგორც დიდი კონგლომერატი, რომელიც ეტაპობრივად გააერთიანებს:

- სახელმწიფო კაცების საკრებულოს
- საზოგადოებრივ პარლამენტს
- „თავისუფალი აზრის სახლს“
- ეროვნული იდეოლოგიის ცენტრს
- მოძრაობას - „მშვიდობიანი კავკასია“
- „ქართულ-ოსურ“ და „ქართულ-აფხაზურ“ მისიებს
- სტრატეგიული კვლევის ცენტრს
- მეცნიერთა სადისკუსიო დარბაზს
- მედიაჰოლდინგს „თავისუფლების სახლი“
- ქართული დემოკრატიის მუზეუმს
- ხალხის სასამართლოს (პროექტი - „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“)
- ქართულ ჰაიდ-პარკს
- დოკუმენტური ფილმების სტუდიას

2.14. ჩვენ ვთვლით, რომ ამ დიდი მიზნების მისაღწევად, საშური იქნება შეიქმნას ეროვნული და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი აზროვნების ტელევიზია ქართველ მამულიშვილთა მონაწილეობითა და დაფინანსებით... ტელევიზია, რომლის უკანაც არ იქნებიან კონკრეტული პიროვნებები და პოლიტიკური ძალები, რომლის გვერდითაც იქნება მთელი საქართველო.

მუხლი 3 ასოციაციის დაფუძნება; დამფუძნებლები

3.1. ასოციაცია დაფუძნებულია 2014 წლის 28 ოქტომბერს, საქართველოში პირველი დამოუკიდებელი და თავისუფალი არჩევნების ჩატარების დღეს.

3.2. ასოციაციის დამფუძნებლები არიან:

1. **რევაზ ჩხეიძე** – დაბ. 08.12.1926წ. პირადობის მოწმობა №11ID91584, პირ. №*01018002702; ქ.* თბილისი, ლარსის ქ. 5 ბინა

2. **რამაზ ყურაშვილი** - დაბ. 17.01.1941წ; პასპორტის №13IB22174, პირ. №01008000687; ქ. თბილისი, ფალიაშვილის 31 ბინა 8

3. **ანზორ ერქომაიშვილი** – დაბ. 10.08.1940წ; პირადობის მოწმობა № B0073903, *პირ.#01015001522; ქ. თბილისი, აბანოს ქ. 21*

4. **არნოლდ გეგეჭკორი** - დაბ. 16.01.1940წ; პირადობის მოწმობა №a0030239, პირ. №*01026000926; თბილისი, ფანასკერტელის ქ. 6 ბინა 193*

5. **ომარ მხეიძე** - დაბ. 25.04.1935წ; პირადობის მოწმობა №d1196659, პირ. №*0108017905; ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 27/29*

6. **გრიგორი თოიძე** - დაბ. 18.12.1932წ; პირადობის მოწმობა №b0103898, პირ. №*01007005260; ქ. თბილისი, მირცხულავას 3ა ბინა 76*

7. **რომან რურუა** - დაბ. 25.11.1942 წ პირადობის მოწმობა №a1179350 პირ. №*01008003371; ქ. თბილისი, ჩიქოვანის 16.*

მუხლი 4. საქმიანობის ფორმები

4.1. საწესდებო მიზნების მისაღწევად ასოციაცია:

ა) ეწევა საგანმანათლებლო-შემეცნებით საქმიანობას;

ბ) ეწევა საგამომცემლო და მთარგმნელობით საქმიანობას;

გ) ატარებს კონფერენციებს;

დ) თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის პროფესიულ გაერთიანებებთან;

ე) ქმნის ასოციაციის სტრუქტურულ ერთეულებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;

ვ) ეწევა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის მისი, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირის ხასიათს;

ზ) ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული კანონით.

მუხლი 5. წევრობა

5.1. ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს 18 წელს გადაცილებული ნებისმიერი ადამიანი, რომელიც იზიარებს ასოციაციის მიზნებს.

5.2. ასოციაციის წევრობის მსურველი დადგენილი ფორმის წერილობითი განცხადებით მიმართავს ასოციაციის გამგეობას. გამგეობა გადაწყვეტს წევრობის მსურველის წევრად მიღების საკითხს.

5.3. პირი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს ასოციაციის საქმიანობას, ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით შეიძლება მიღებულ იქნას ასოციაციის საპატიო წევრად. საპატიო წევრზე არ ვრცელდება ასოციაციის წევრისათვის ამ წესდებით დადგენილი უფლება-მოვალეობანი.

5.4. ასოციაციის დამფუძნებლები და შემდგომ გაწევრიანებული პირები თანაბარი სტატუსით სარგებლობენ.

5.5. ასოციაციის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) გამგეობისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე საწევრო შენატანის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ზედიზედ ერთი წლის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში;

გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ ცნობისას;

დ) გარდაცვალებისას;

5.6. საერთო კრების გადაწყვეტილებით ასოციაციის წევრი შეიძლება გაირიცხოს ასოციაციიდან, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის მიზნებს ან იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 6. წევრთა უფლება-მოვალეობანი

6.1. ასოციაციის წევრს უფლება აქვს:

ა) მონაწილეობდეს ასოციაციის საერთო კრების მუშაობაში;

ბ) აირჩიოს და არჩეულ იქნას ასოციაციის მმართველობის ორგანოებში;

გ) კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს ასოციაციის პროგრამებში;

ე) მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია ასოციაციის ხელმძღვანელი ორგანოებისა და პირებისაგან ასოციაციის საქმიანობის შესახებ;

ვ) ასოციაციის მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს ასოციაციის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

ზ) ატაროს ასოციაციის ემბლემა.